

პასუხები სამინისტროს 13/10/2021 წ. N10694/01 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე

№	შენიშვნა	პასუხი
1	დაზუსტებას საჭიროებს მეტალურგიული პროცესებიდან წარმოქმნილი წიდის ნარჩენების, აირგამწმენდიდან დაჭერილი ნარჩენი მტვერის და სხვა მეტალურგიული ნარჩენების განთავსების და შემდგომი მართვის საკითხები;	ცალკეული ნარჩენის განთავსებაზე კონკრეტული ინფორმაცია დაზუსტებულია ნარჩენების მართვის გეგმაში, აღნიშნული ინფორმაცია დამატებული იქნა ასევე გზშ-ს ანგარიშში.
2	პროექტის თანხმად საწარმოს მეტალურგიული ნარჩენების განთავსების მიზნით დაგეგმილი აქვს „წიდასაყარის“ მოწყობა. საქართველოს კანონი - „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, ნარჩენების განთავსების მიზნით უნდა მოეწყოს შესაბამისი ნაგავსაყრელი ან/და ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტი, რაც განსხვავებულ რეგულირებას საჭიროებს	პროექტი არ ითვალისწინებს „წიდასაყარის“ (ნარჩენების გათავსების ობიექტის) მოწყობას, პროექტით გათვალისწინებულია წიდების დროებითი (ერთ წლამდე ვადით) დასასაწყობებელი ბაქნის (სანაყაროს) მოწყობა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დამატებით დაზუსტდა გზშ-ს ანგარიშში.
3	გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, „ლითონის ციცხვში ჩასხმის დროს მიღებული მეორეული ხენჯი (10 02 10) არ წარმოადგენს ნარჩენს, იგი მეტალურგიული პროცესების ძირითადი ნედლეულია“. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილება - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხა და კლასიფიკაციის“ თანახმად, მეორეული ხენჯი კლასიფიცირებულია ნარჩენად კოდით - 10 02 10. შესაბამისად, კომპანიის საქმიანის პროცესში წარმოქმნილი მეორეული ხენჯი განხილული უნდა იყოს ნარჩენად. აღნიშნული არ გამორიცხავს მის ხელმეორედ გამოყენებას ტექნოლოგიურ პროცესში. ამისათვის,	ლითონის ჩამოსხმის დროს წარმოიქმნება რკინის ხენჯი (რკინის მცირე ზომის ნაწილაკები და ნატეხები)- რომელიც ემატება ღუმელში ნედლეულად, ჯართთან ერთად. ინფორმაცია დამატებით დაზუსტდა გზშ-ს ანგარიშში და ნარჩენების მართვის გეგმაში.

	კომპანია უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია, ტექნოლოგიური პროცესის რომელ ეტაპზე ხდება მეორეული ხენჯის ნედლეულად გამოყენება და რა რაოდენობით;	
4	გზმ-ის ანგარიშის თანახმად, „მეტალურგიული წილის შემდგომი გამოყენების მიზნით მოეწყობა წილის სამსხვრევი, რომლის საშუალებითაც ადგილზე დამზადდება ღორღი, რომელიც რეალიზდება მომხმარებლებზე“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი ინფორმაცია და საჭიროებს დაზუსტებას. წილის სამსხვრევი არ არის გათვალისწინებული, ასევე გარემოზე, მათ შორის, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების წყაროებს შორის. ამასთან, აღნიშნული ქმედება (წილის მსხვრევა), ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, წარმოადგენს ნარჩენების წინასწარ დამუშავებას, რომელიც ასევე არ არის განხილული და საჭიროებს დაზუსტებას;	რადგან საწარმო დაბალი წარმადობისაა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი წილის მაქსიმალური რაოდენობა 70 ტ-მდეა, ამ ეტაპზე არ იგეგმება წილის სამსხვრევის მოწყობა. წიდა დამუშავების გარეშე გადაეცემა სათანადო ნებართვიან კონტრაქტორებს. ინფორმაცია დაზუსტდა გზმ-ს ანგარიშში.
5	გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, „დაჭრა შესაძლებელია განხორციელდეს პრესმაკრატლით ან/და აირული ჭრით, შესაძლებელია ასევე პლაზმური ჭრის გამოყენებაც“. დაზუსტებას საჭიროებს ჯართის ჭრის რომელი მეთოდი იქნება გამოყენებული მომზადების უბანზე	დაჭრა განხორციელდება პრესმაკრატლით და აირული ჭრით, ორივე ერთად ან ერთი რომელიმე, კონკრეტულ შემთხვევაში რომელიც იქნება საჭირო ჯართის დასაჭრელად. ცალკეულ შემთხვევაში ჯართის დასაჭრელად გამოყენებული იქნება ის მეთოდი, რომელიც იქნება უფრო მიზანშეწონილი.
6	გზმ-ის ანგარიშში განხილული უნდა იყოს ჯართის ჩატვირთვის დროს წარმოქმნილი აირმტვერნარევის (საწარმოო შენობის გვერდებიდან) გარემოში გაფრქვევის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. დაზუსტებას საჭიროებს, ასევე ჯართის ღია უბანზე დამუშავების დროს შესაძლო აალების (რომელიც	ჯართის ჩატვირთვის დროს ღუმელის ქოლგა იწევა ზემოთ, გამწოვი არ არის გამორთული და გამოყოფილი აირნარევი შეიწოვება ქოლგით. ინფორმაცია დაზუსტდა გზმ-ს ანგარიშში. რაც შეეხება ჯართის აალების საკითხს, პროექტისა და გზმ-ს ანგარიშის თანახმად საწარმოში არ იგეგმება ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული

	<p>გამოწვეულია ძირითადად ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჯართის გამო) საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>ჯართის გადამუშავება. ჯართი შემოიტანება წინასწარ გადარჩეული და დახარისხებული. თუ დაბინძურებული ჯართი საწარმოს ტერიტორიაზე მაინც მოხდა, მისი მართვა მოხდება როგორც სახიფათო ნარჩენი (ინფორმაცია მოცემულია გზშ-ს ანგარიშში 5.2. ქვეთავი)</p>
7	<p>სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საპროექტო ტერიტორიის ადგილზე ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ საწარმოს მოწყობისთვის უკვე შესრულებულია გარკვეული ტიპის სამუშაოები, მათ შორის: ჯართის მიმდებ უბანზე მოწყობილია ხიდური ამწე; არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია ჯართის სადნობი ღუმელები (ორი ერთეული); შენობის ერთ-ერთ ფლიგელში განთავსებულია: მაღალი ძაბვის უჯრედი და ტრანსფორმატორები; საწარმოს ტექნოლოგიური ხაზის გაგრილების სისტემისთვის შენობის ჩრდილოეთ მხარეს მოწყობილია წყლის ავზი. ვინაიდან, კომპანიის მიერ თითქმის დასრულებულია საწარმოს მოწყობითი სამუშაოების ნაწილი, გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და მოსალოდნელი, შესაძლო ზემოქმედების სახეები</p>	<p>ამჟამად საწარმოს ტერიტორიაზე შემოტანილია ტექნოლოგიური დანადგარების ნაწილი, რომელიც შეკვეთილი იყო უცხოეთში. საწარმოს ტერიტორიაზე გადმოტვირთვის დროს ისინი დაწყობილია მათ დასამონტაჟებლად გათვალისწინებული ადგილებთან ახლოს. ასევე ცალკეულ მოწყობილობას, დაზიანებისაგან დასაცავად მაგ. ღუმელებს გადმოტანის დროს ესაჭიროება სპეციალური სადგამი, შესაბამისად ღუმელები არის გადმოტვირთული სადგამებზე. ტრანსფორმატორები, შეფუთულ მდგომარეობაში დაწყობილია სატრანსფორმატორო უბანზე. ჯერ არცერთი მოწყობილობა არ არის დამონტაჟებული. საწარმოს მოწყობის სამუშაოები არ დაწყებულა. გზშ-ს ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს მოწყობის ეტაპი ითვალისწინებს შენობის სარემონტო, დანადგარების სამონტაჟო და ტერიტორიის მოსაპირკეთებელი სამუშაოებს, რომელიც შესასრულებელია. გზშ-ს ანგარიშში დაემატა ინფორმაცია უკვე შეძენილი დანადგარების ტერიტორიაზე შემოტანისა და გადმოტვირთვის შესახებ.</p>
8	<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მეტალურგიულ საამქროში გათვალისწინებულია ორო იდენტური ინდუქციური ღუმელის დამონტაჟება, რომლებიც იმუშავებს მონაცვლეობით. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები</p>	<p>ცხრილი 7.3 -ში დაზუსტდა ინფორმაცია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების შესახებ</p>

	გაფრქვევის ნორმების პროექტის მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათების ცხრილში 7.3 (გვ. 22)	
9	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, აირგამწმენდი სისტემის/კვამლგამწოვის სიმძლავრეა 14 000 მ ³ /სთ. აღნიშნული გარემოების დასაბუთების მიზნით, წარმოდგენილ უნდა იქნეს აირგამწმენდი სისტემის/კვამლგამწოვის პასპორტი.	კვამლგამწოვის პასპორტი წარმოდგენილი იქნება დანართის სახით.